ავტორ-შემდგენელი
რამაზ ჩქედლიძე

# თანამედროვე გერმანია

ლექსიკონი



# თამაზ მჭედლიძე
# თანამედროვე გერმანია. ლექსიკონი

*http://www.litres.ru/pages/biblio_book/?art=28510530*
*ISBN 9785449015617*

## Аннотация

წინამდებარე ლექსიკონი «თანამედროვე გერმანია» მოიცავს 2730 ტერმინს, რომლებიც ასახავენ ომისშემდგომი გერმანიის ცხოვრებას. გერმანული ტერმინები განმარტებულია ქართულ ენაზე. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია: გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, კულტურა, პოლიტიკური ცხოვრება, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები, გერმანული სამზარეულოს კერძები და ა. შ. წიგნი გამართულია მთავრული ასოებით, რომლებითაც იწყება წერტილის შემდეგ ახალი წინადადება და აგრეთვე პირადი და საკუთარი სახელები.

# Содержание

წინასიტყვაობა 8
ლექსიკონი 9
A 9
B 31
Конец ознакомительного фрагмента. 53

# თანამედროვე გერმანია ლექსიკონი

ავტორ-შემდგენელი თამაზ მჭედლიძე

ISBN 978-5-4490-1561-7
Создано в интеллектуальной издательской системе Ridero



დედაჩემის
ნათელ ხსოვნას

| Ⴂერმანული ანბანი | | |
|---|---|---|
| Aa | Jj | Ss |
| Bb | Kk | Tt |
| Cc | Ll | Uu |
| Dd | Mm | Vv |
| Ee | Nn | Ww |
| Ff | Oo | Xx |
| Gg | Pp | Yy |
| Hh | Qq | Zz |
| Ii | Rr | ß |

| Ⴕართული ანბანი | | | | |
|---|---|---|---|---|
| Ⴀა | Ⴈი | Ⴐრ | Ⴘშ | Ⴠჰ |
| Ⴁბ | Ⴉკ | Ⴑს | Ⴙჩ | Ⴥჵ |
| Ⴂგ | Ⴊლ | Ⴒტ | Ⴚც | |
| Ⴃდ | Ⴋმ | Ⴣჳ | Ⴛძ | |
| Ⴄე | Ⴌნ | Ⴓუ | Ⴜწ | |
| Ⴅვ | Ⴢჲ | Ⴔფ | Ⴝჭ | |
| Ⴆზ | Ⴍო | Ⴕქ | Ⴞხ | |
| Ⴡჱ | Ⴎპ | Ⴖღ | Ⴤჴ | |
| Ⴇთ | Ⴏჟ | Ⴗყ | Ⴟჯ | |

Wir Deutschen fürchten Gott,
aber sonst nichts in der Welt!

*Otto von Bismark*

Ჩვენ, გერმანელებს, გვეშინია Ღმერთის,
და მეტი არაფრის!

*Ოტო ფონ Ბისმარკი*

თანამედროვე გერმანია. სახელმწიფოთმცოდნეობითი ლექსიკონი.

# წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექსიკონი «თანამედროვე გერმანია» მოიცავს 2730 ტერმინს, რომლებიც ასახავენ ომისშემდგომი გერმანიის ცხოვრებას. გერმანული ტერმინები განმარტებულია ქართულ ენაზე. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია: გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, კულტურა, პოლიტიკური ცხოვრება, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები, გერმანული სამზარეულოს კერძები და ა. შ. ლექსიკონის დანართში მოცემულია საინტერესო და სასარგებლო ცნობები გერმანიაზე: ქვეყნის ომისშემდგომი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღები, მანძილი ქალაქებს შორის, დიდი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა, ცნობები ფედერალურ მხარეებზე და მრავალი სხვა. წიგნის ბოლოში მოცემულია ტერმინების ანბანური მაჩვენებელი, ილუსტრაციების და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხები.

წიგნი გამართულია მთავრული ასოებით, რომლებითაც იწყება წერტილის შემდეგ ახალი წინადადება და აგრეთვე პირადი და საკუთარი სახელები. ეს წესი მოქმედებს სხვა ევროპულ დამწერლობებში და მე—19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ფართოდ იყო ხმარებაში ქართულშიც .

# ლექსიკონი

## A

**Aachen** (აახენი) – ქალაქი ჩრდილოეთ რაჟნ—ვესტფალიის მხარეში; ადმინისტრაციული ოლქის ცენტრი; ბალნეოლოგიური კურორტი, სატრანსპორტო კვანძი, 243 ათასი მაცხოვრებელი; განვითარებულია ლითონდამამუშავებელი, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა; შემორჩენილია კარლოს დიდის რეზიდენციის ნარჩენები სასახლის კაპელით (786—798 წწ.); ქალაქში ტარდებოდა გერმანიის იმპერატორების გვირგვინის დადგმა (936—1531 წწ.), მე—19—20 სს. კი ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენციები; ქალაქში არის პრესის საერთაშორისო მუზეუმი (Internationales Zeitungsmuseum), კომპიუტერების მუზეუმი (Computer- museum).

**Aachener Printe** (აახენის თაფლის პური) – საშობაო ხორაგი: მოგრძო ფორმის თაფლის პური, უხვად შეკაზმული სუნელით.

**Aalen VfR** («აალენ ფშრ») – გერმანიის ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგა «სამხრეთის» საფეხბურთო კლუბი.

**ABC-Abwehrtruppe** (ქიმიური თავდაცვის ნაწილები) – ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების ნაწილები.

**Abc-Schutze** – პირველკლასელი.

**Abendgymnasium** (საღამოს გიმნაზია) – სოზაგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას სამი—ექვსი წლის განმავლობაში საგიმნაზიო კურსის გამოცდების ჩაბარებას და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლების მოპოვებას.

**ომისშემდგომი გერმანიის უმნიშვნელოვანესი თარიღები**

**1945 წ. 8 მაისი —** გერმანიის კაპიტულაცია.
**1945 წ. აგვისტო —** პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით გერმანია გაიყო ოთხ ზონად.
**1945 წ. ნოემბერი-1946 წ. ოქტომბერი —** ნიურნბერგის პროცესი.
**1948 წ. ივნისი —** ბერლინის საბჭოთა ბლოკადის დასაწყისი; ამერიკული საჰაერო ხიდი.
**1949 წ. 23 მაისი —** გფრ შექმნა.
**1949 წ. 7 ოქტომბერი —** გდრ შექმნა.
**1950 წ. —** გდრ შესვლა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში.
**1953 წ. 17 ივნისი —** გდრ-ის მუშების აჯანყება; აჯანღების ჩახშობა საბჭოთა ჯარის მიერ.
**1955 წ. —** გფრ შესვლა ნატო-ში.
**1961 წ. 13 აგვისტო —** ბერლინის კედლის აღმართვა.
**1969 წ. 21 ოქტომბერი —** ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატების მოსვლა ვილი ბრანდტის ხელმძღვანელობით.
**1971 წ. 3 სექტემბერი —** სამთა ხელშეკრულება, რომლებიც აძლევდა გფრ-ის მოქალაქეებს გდრ-ის მონახულებას.
**1973 წ. —** გდრ და გფრ მიიღეს გაერო-ში.
**1982 წ. —** ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის დაბრუნება ხელისუფლების სათავეში ჰელმუტ კოლის გამარჯვების შედეგად.
**1989 წ. ნოემბერი —** ბერლინის კედლის დაცემა.
**1990 წ. ბოლო —** ორივე გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური გაერთიანება.
**1993 წ. —** კარლსრუეში კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებით გერმანელ ჯარისკაცებს ეძლევათ მონაწილეობის მიღების ნებართვა გაერო-ს ძალებში ბოსნიაში.
**1994 წ. 16 ოქტომბერი —** ქდკ-ის გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში; ჰელმუტ კოლი, რომელიც 12 წლის განმავლობაში იყო კანცლერი, რჩება ამ პოსტზე.
**1995 წ. —** შენგენის ხელშეკრულების ხელმოწერა გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის მიერ.

**Abendschule** – საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომუშავეთათვის.

**Abgeordnetenhaus**, **Abgeordnetenkammer** (დეპუტატების პალატა) – ბერლინის პარლამენტის სახელწოდება; ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას; ირჩევენ ოთხი წლით.

**Abitur** – გამოსაშვები გამოცდები საშუალო სკოლაში, რომლის წარმატებული ჩაბარება იძლევა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას.

**Abteiberg** (აბტაჲბერგი) – სახვითი ხელოვნების მუზეუმი ქ. მჲონხენგლადბახში (ჩრდილოეთ რაჲნ—ვესტფალიის მხარე); შეიცავს ავანგარდის მდიდარ კოლექციას.

**Ackerbürger** (მოქალაქე-მიწათმოქმედი) – პატარა ქალაქში მიწათმოქმედებით დასაქმებული მოქალაქე.

**ADAC** («ადეასე») – სრულიადგერმანული საავტომობილო კლუბი.

**ADAC-Motorwelt** («ადეასე მოტორველტ») – სრულიადგერმანული საავტომობილო კლუბის ჟურნალი.

**Adam Opel AG** («ადამ ოპელ აგ») – 1862 წ. ა. ოპელის მიერ ქ. რჲუსელჰაჲმში დაარსებული საკერი მანქანების და ველოსიპედების წარმოების ფირმა; 1899 წლიდან – საავტომობილო კონცერნი; 1929 წლიდან ეკუთვნის ამერიკულ კორპორაცია «ჯენერალ მოტორსს».

**Adenauer Konrad** (ადენაუერი კონრად, 1876—1967 წწ.) – გერმანიის ფედერალური კანცლერი 1949—1963 წწ.; 1946—1966 წწ. – ქდკ თავჯდომარე; მის სახელთანაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიური აღორძინება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

**Adenauer-Ära** («ადენაუერის ერა») – გერმანიის ისტორიის პერიოდი (1949—1963 წწ.), როდესაც მთავრობის სათავეში იდგა კონრად ადენაუერი.

**Adidas AG** («ᲐᲓᲘᲓᲐᲡ ᲐᲒ») (ფირმის დამაარსებელის სახელიდან **Adi Das**sler) – 1920 წ. დაარსებული სამრეწველო კომპანია, რომელიც უშვებს სპორტულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ინვენტარს; აქვს 8 საწარმო გერმანიაში და 25 ფირმა მსოფლიოს სხვადავხსა ქვეყანაში.

**Adler** («ადლერ») – საბეჭდი მანქანის მარკა, რომელიც გამოდიოდა ქ. მაჲნის ფრანკფურტში.

**Adler-Werke** («ადლერ-ვერკე») – საბეჭდი მანქანების ქარხანა, დაარსებული 1880 წ. ქ. მაჲნის ფრანკფურტში; 90—ან წლებში შეუერთდა ფირმა Triumph—ს.

| Ⴂერმანიის კანცლერები | | | |
|---|---|---|---|
| **Ⴙრდილოგერმანული Ⴉავშირი** | | | |
| *Ⴋმარ. წლ.* | *Ⴑახელი* | *Ⴎარტ.* | *Ⴑიც. წლ.* |
| 1867-1871 | Ⴍტო ფონ Ⴁისმარკი (Otto von Bismarck) | | 1815-1898 |
| **Ⴂერმანიის იმპერია** | | | |
| *Ⴋმარ. წლ.* | *Ⴑახელი* | *Ⴎარტია* | *Ⴑიც. წლ.* |
| 1871-1890 | Ⴍტო ფონ Ⴁისმარკი (Otto von Bismarck) | | 1815-1898 |
| 1890-1894 | Ⴊეო ფონ Ⴉაპრივი (Leo von Caprivi) | | 1831-1899 |
| 1894-1900 | Ⴟლოდვიგ Ⴠოჰენლოე (Chlodwig Hohelohe) | | 1819-1901 |
| 1900-1909 | Ⴁერნჰარდ ფონ Ⴁიულოვი (Bernhard von Bülow) | | 1849-1929 |
| 1909-1917 | Ⴇეობალდ ფონ Ⴁეთმან Ⴠოლვეგი (Theobald von Bethmann Hollweg) | | 1856-1921 |
| 1917-1917 | Ⴂეორგ Ⴋიხაელისი (Georg Michaelis) | | 1857-1936 |
| 1917-1918 | Ⴂეორგ ფონ Ⴠერტლინგი (Georg von Hertling) | | 1843-1919 |
| 1918-1918 | Ⴋაქსიმილიან Ⴁადენელი (Maximilian Prinz von Baden) | | 1867-1929 |

**Admiral** (ადმირალი) – უმაღლესი წოდება ბუნდესვერის საზღვაო ძალებში.

**Admiralapotheker** (ადმირალ—ფარმაცევტი) – ადმირალის წოდება ბუნდესვერის სამედიცინო—სანიტარულ სამსახურში; შეესაბამება ფლოტილიის ადმირალის წოდებას.

**Admiralarzt** (ადმირალ—ექიმი) – ადმირალის წოდება ბუნდესვერის სამედიცინო—სანიტარულ სამსახურში; შეესაბამება ფლოტილიის ადმირალის წოდებას.

**Admiraloberstabsarzt** (ადმირალ—უფროსი შტაბს—ექიმი) – ადმირალის წოდება ბუნდესვერის სამედიცინო—სანიტარულ სამსახურში; შეესაბამება ვიცე—ადმირალის წოდებას.

**Admiralstabsarzt** (ადმირალ—შტაბს—ექიმი) – ადმირალის წოდება ბუნდესვერის სამედიცინო—სანიტარულ სამსახურში; შეესაბამება კონტრ—ადმირალის წოდებას.

**ADN** (სააგენტო ადნ) – *იხ.* Allgemeiner Deutscher Nachrichtendienst.

**Advent** (ადვენტი) – საშობაო დღესასწაულის წინა დრო, რომელიც იწყება 26 ნოემბრის შემდეგ პირველ კვირას და გრძელდება 4 კვირა შობამდე; დღესასწაულის მოახლოვებისას ადვენტის ყოველი შემდეგი კვირის მნიშვნელობა და ფასეულობა იზრდება.

**Adventkranz** (წინასაშობაო გვირგვინი) – გვირგვინი

ნაძვის ხის ტოტებისგან ოთხი სანთლით, რომელსაც დგავენ მაგიდაზე ან ჰკიდებენ სახლის შესასვლელს ზემოთ.

**Adventskalender** – წინასაშობაო საბავშვო კალენდარი, რომელზედაც ყოველ დღე, დაწყებული 1 დეკემბრიდან, იხსნება თითო სარკმელი; ღია სარკმელში ბავშვი ხედავს საჩუქარს, რომლის მიღებაც მას სურს.

**AEG** (აეგ) – *იხ.* Allgemeine Elektricitäts-Gesellschaft.

**AEG-Telefunken** («აეგ—ტელეფუნკენი») – *იხ.* Allgemeine Elektricitäts-Gesellschaft AEG-Telefunken.

**AGF** – *იხ.* Arbeitsgemeinschaft der Großforschungseinrichtungen.

**Agfa / AGFA** («აგფა» / «აგფა») – *იხ.* Aktiengesellschaft für Anilin-produktion.

**Agfa AG** («აგფა აგ») – 1956 წ. ქ. ლევერკუზენში დაარსებული ფოტო— და კინომასალების წარმოების უდიდესი ფირმა; 1964 წელს გაერთიანდა ბელგიურ კონცერნ « გეფერტ» -თან.

**Agfa-Gevaert AG** («აგფა—გეფერტ აგ») – ფოტო — და კინომასალების წარმოების გერმანულ—ბელგიური კონცერნი; წარმოიშვა 1964 წ. გერმანულ ფირმა «აგფა აგ» და ბელგიურ კონცერნ « გეფერტის» გაერთიანების შედეგად.

**Ahlen LR** («ალენ ლრ») – ბუნდესლიგის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი.

| ვაიმარის რესპუბლიკა | | | |
|---|---|---|---|
| მმარ. წლ. | სახელი | პარტია | სიც. წლ. |
| 1918-1919 | ფრიდრიხ ებერტი (Friedrich Ebert) | გსდპ | 1871-1925 |
| 1919-1919 | ფილიპ შაიდემანი (Philipp Scheidemann) | გსდპ | 1865-1939 |
| 1919-1920 | გუსტავ ბაუერი (Gustav Bauer) | გსდპ | 1870-1944 |
| 1920-1920 | ჰერმან მიულერი (Hermann Müller) | გსდპ | 1876-1931 |
| 1920-1921 | კონსტანტინ ფერენბახი (Konstantin Fehrenbach) | ცპ | 1852-1926 |
| 1921-1922 | იოზეფ ვირტი (Josef Wirth) | ცპ | 1879-1956 |
| 1922-1923 | ვილჰელმ კუნო (Wilhelm Cuno) | უპარტ. | 1876-1933 |
| 1923-1923 | გუსტავ შტრეზემანი (Gustav Stresemann) | გსპ | 1878-1929 |
| 1923-1925 | ვილჰელმ მარქსი (Wilhelm Marx) | ცპ | 1863-1946 |
| 1925-1926 | ჰანს ლუთერი (Hans Luther) | უპარტ. | 1879-1960 |
| 1926-1928 | ვილჰელმ მარქსი (Wilhelm Marx) | ცპ | 1863-1946 |
| 1928-1930 | ჰერმან მიულერი (Hermann Müller) | გსდპ | 1876-1931 |
| 1930-1932 | ჰაინრიხ ბრიუნინგი (Heinrich Brüning) | ცპ | 1885-1970 |
| 1932-1932 | ფრანც ფონ პაპენი (Franz von Papen) | ცპ | 1879-1969 |
| 1932-1933 | კურტ ფონ შლაიხერი (Kurt von Schleicher) | უპარტ. | 1871-1925 |

**Aim –** მთის ალპიური საძოვარი.

**Akademiker –** უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანი.

**Akademischer Beifall** (აკადემიური ტაშის დაკვრა) – სდუდენტების მიერ მოხრილი თითებით მაგიდაზე კაკუნი ლექციის, პროფესორის გამოსვლის ან მეცნიერული მოხსენების მოწონების ნიშნად.

**Aktiengesellschaft für Anilinpro-duktion (Agfa)** («აქციონგეზელშაფტ ფიჲრ ანილინპროდუქციონ» («აგფა») – 1883 წ. დაარსებული ანილინის პროდუქციის წარმოების აქციონერული საზოგადოება; 1925—1945 წწ. «იგ ფარბენინდუსტრი აგ» —ს შემადგენლობაში; 1956 წ.

დაარსდა ხელახლად სახელწოდებით «აგფა აგ».

**Aktivisten der ersten Stunde** («პირველი საათის აქტივისტები») – გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში ნაცისტური რეჟიმის შედეგების აღმოფხვრის და ნორმალური ცხოვრების აღდგენის ინიციატორები ომის დამთავრების შემდეგ პირველ დღეებში.

**Albertinum** (ალბერტინუმი) – მუზეუმი ქ. დრეზდენში, რომელიც ატარებს მისი დამაარსებლის, საქსონიის მეფის ალბერტ საქსონელის სახელს; მუზეუმის შენობა აგებულია 1884—1887 წწ.; ახალი ოსტატების გალერეაში წარმოდგენილია 19—20 სს. ფერწერა.

**Alemannia Aachen TSV** («ალემანია აახენ ტსფ») – ბუნდესლიგის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი.

**Alex** *m* (ალექსი) – ბერლინის მოედნის ალექსანდერპლატცის ზოგადსახმარი სახელწოდება.

**Alexanderplatz**, *სალ.* **Alex** (ალექსანდერპლატცი, ალექსი) – მოედანი ბერლინის ცენტრში, რომელმაც მიიღო თავისი სახელწოდება 1805 წ. რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I ბერლინში ვიზიტის შედეგად.

**Alexander-von-Humboldt-Stiftung** (ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის ფონდი) – ფონდი, შექმნილი გერმანიაში უცხოელი მეცნიერების და გერმანელების საზღვარგარეთ ყოფნის ორგანიზაციის მიზნით, დაფინანსებული «გერმანული მეცნიერების ფონდების დამაარსებლების კავშირის» მიერ; სახელდებულია ბუნებისმეტყველ ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის სახელით.

**Aller** (ალერი) – მდინარე გერმანიაში, მდინარე ვეზერის მარჯვენა შენაკადი.

**Allerheiligen** (ყოვლადწმინდის დღე) – კათოლიკური დღესასწაული, წინაპრების ხსოვნის დღე; 1 ნოემბერი.

**Allerseelen** (ყოვლადსულის დღე) – კათოლიკური დღესასწაული, გარდაცვლილების ხსოვნის დღე; 2 ან 3 ნოემბერი, თუ 2 ნოემბერი კვირა დღეა.

| მესამე რაიხი | | | |
|---|---|---|---|
| მმარ. წლ. | სახელი | პარტია | სიც. წლ. |
| 1933-1945 | ადოლფ ჰიტლერი (Adolf Hitler) | გნსმპ | 1889-1945 |
| 1945-1945 | პაულ იოზეფ გებელსი (Paul Joseph Goebbels) | გნსმპ | 1897-1945 |
| 1945-1945 | იოჰან შვერინ ფონ კროზიგი (Johann Schwerin von Krosigk) | უპარტ. | 1887-1977 |

| გერმანიის ფედერალური პრეზიდენტები | | | |
|---|---|---|---|
| მმარ. წლ. | სახელი | პარტია | სიც. წლ. |
| 1949—1959 | თეოდორ ჰოისი (Theodor Heuss) | თავდპ | 1884—1963 |
| 1959—1969 | ჰაინრიხ ლიუბკე (Heinrich Lübke) | ქდკ | 1894—1972 |
| 1969—1974 | გუსტავ ჰაინემანი (Gustaw Heinemann) | გსდპ | 1899—1976 |
| 1974—1979 | ვალტერ შეელი (Walter Scheel) | თავდპ | 1919 |
| 1979—1984 | კარლ კარსტენსი (Karl Carstens) | ქდკ | 1914—1992 |
| 1984—1994 | რიხარდ ფონ ვაიცზეკერი (Richard von Weizsäcker) | ქდკ | 1920 |
| 1994—1999 | რომან ჰერცოგი (Roman Herzog) | ქდკ | 1934 |
| 1999—2004 | იოჰანეს რაუ (Johannes Rau) | გსდპ | 1931—2006 |
| 2004—2009 | ჰორსტ კიოლერი (Horst Köhler) | ქდკ | 1943 |

**Allgäu** (ალგოი) – მხარე ბავარიის ალპებში ბოდენის ტბის და მდინარე ლეხს შორის; განვითარებულია სარძევე მეურნეობა, საფეიქრო მრეწველობა, ტურიზმი; ქალაქები იმენშტადტი, ობერსდორფი (სამთოკლიმატური კურორტი),

ზონტჰოფენი.

**Allgäuer Alpen** (ალგოჲს ალპები) – მთები გერმანიასა და ავსტრიაში.

**Allgemeine Elektricitäts-Gesellschaft (AEG)** («ალგემაჲნე ელექტრიციტეტს-გეზელშაფტ» / «ელექტრობის საყოველთაო საზოგადოება» (აეგ) – ერთერთი უმსხვილესი ელექტროტექნიკური კონცერნი, დაარსებული 1883 წ. ბერლინში ემილ რატენაუს მიერ.

**Allgemeine Elektricitäts-Gesell-schaft AEG-Telefunken** («ალგემაჲნე ელექტრიციტეტს-გეზელშაფტ აეგ-ტელეფუნკენ») – ერთერთი უმსხვილესი ელექტროტექნიკური კონცერნი (მაჲნის ფრანკფურტი); შექმნილია 1968 წ. კონცერნების «აეგ» და «ტელეფუნკენ გმბჰ» შეერთების შედეგად.

**Allgemeine Nahrungs- und Genußmittelausstellung (ANUGA)** (სამრეწველო საქონლის და გემოვნების მრეწველობის ნაწარმის საზოგადო გამოფენა (ანუგა) – ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა კჲოლნში.

**Allgemeiner Deutscher Nachrichtendienst (ADN)** (ალგემაჲნერ დოჲჩერ ნახრიხტენდინსტ (ადნ) – 1946 წ. აღმოსავლეთ ბერლინში შექმნილი საინფორმაციო სააგენტო; 1990 წ. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მას შეუერთდა გფრ «დოჲჩერ დეპეშენ—დინსტ».

**Allgemeiner Studentenausschuss (ASTA)** (საერთო სტუდენტური კომიტეტი) – გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმართველობის

აღმასრულებელი ორგანო.

**Alliierter Kontrollrat für Deutschland** (საკონტროლო საბჭო გერმანიაში) – უმაღლესი საკონტროლო ორგანო გერმანიისს საოკუპაციო ზონებში მის უპირობო კაპიტულდაციის შემდეგ; შექმნილია ბერლინში ჲალტის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად; შეწყვიტა მოქმედება 1948 წ. 20 მარტს.

**Allianz Arena** (ალიანც—არენა) – საფეხბურთო კლუბ «ბაჲერნ მჲუნხენის» სტადიონი. აშენებულია 2008 წ.

**Alpen** (ალპები) – სამთო სისტემა Ღასავლეთ Ევროპაში (შვეჲცარია, ავსტრია, გერმანია, Იტალია).

**Alpenvortand** (ალპებისწინი) – ქედები, რომლებიც გარს ერტყმის ალპების მთის მასივებს (შვეჲცარია, ავსტრია, გერმანია).

**Alpha-Jet** («ალფა—ჯეტი») – ბუნდესვერის შეიარაღებაში მყოფი ტაქტიკური მხარდაჭერის თვითმფრინავის სახელწოდება; საავიაციო კონცერნ «Ღორნჲე Гმბჰ» —ს წარმოება.

**Alte Fritz** (ბებერი Ფრიცი) – პრუსიის მეფის Ფრიდრიხ II მეტსახელი.

| გერმანიის ფედერალური კანცლერები | | | |
|---|---|---|---|
| მმარ. წლ. | სახელი | პარტია | სიც. წლ. |
| 1949—1963 | კონრად ადენაუერი (Konrad Adenauer) | ქდკ | 1876—1967 |
| 1963—1966 | ლჲუდვიგ ერხარდი (Ludwig Erhard) | ქდკ | 1897—1977 |
| 1966—1969 | კურტ კიზინგერი (Kurt Kiesinger) | ქდკ | 1904—1988 |
| 1969—1974 | ვილი ბრანდტი (Willy Brandt) | გსდპ | 1913—1992 |
| 1974—1982 | ჰელმუტ შმიდტი (Helmut Schmidt) | გსდპ | 1918 |
| 1982—1998 | ჰელმუტ კოლი (Helmut Kohl) | ქდკ | 1930 |
| 1998—2005 | გერხარდ შრჲოდერი (Gerhard Schröder) | გსდპ | 1944 |
| 2005—2009 | ანგელა მერკელი (Angela Merkel) | ქდკ | 1954 |

**Alte Mainbrucke** (ძველი ხიდი მაინზე) – ქ. ვჲურცბურგის ერთერთი ყველაზე ძველი ხიდი, რომელიც აერთებს ციხესიმაგრეს ქალაქის ცანტრთან; აშენებულია 8 ს., თანამედროვე სახე კი მიიღო 18—19 სს.; ხიდის გასწვრივ დგას წმინდანების ქანდაკებები ბაროკოს სტილში.

**Altenburg** (ალტენბურგი) – ქალაქი თჲურინგიაში; 48 ათასი მაცხოვრებელი; ცნობილია სათამაშო კარტების წარმოებით და მათი მუზეუმით.

**Alte Oper** («ძველი ოპერა») – თეატრი მაინის ფრანკფურტში; შენობა ნეორენესანსის სტილში; ამჟამად მასში ტარდება კონგრესები.

**Alte Pinakothek** (ძველი პინაკოთეკა) – მხატვრული მუზეუმი მჲუნხენში; შენობა ვენეციური რენესანსის სტილში აშენებულია არქიტექტორ ლეო ფონ კლენცის პროექტით; მასში ინახება 1400 მხატვრის 9000 სურათი, შაქმნილი მე—18 საუკუნემდე; მათ შორის არის ლეონარდო და ვინჩის «მადონა ჩვილით», ალბრეხტ ალტდორფერის «ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიოსთან», იტალიელი ოსტატების

ტილოები.

**Alter Gottfried** (ბებერი გოტფრიდი) – ხალათი ან სახლის კაბა სტუდენტურ ჟარგონზე.

**Altes Museum** (ძველი მუზეუმი) – შენობა ბერლინში «მუზეუმების კუნძულზე» (Museumsinsel), აშენებული 1825—1830 წწ. არქიტექტორ კ. ფ. შინკელის პროექტით და აღდგენილი 1966 წ.; მასში განთავსებულია ძროვნული გალერეა.

**Altes Rathaus** («ალტეს რატჰაუსი») – ძველი რატუშა, ქ. ლაიფციგის ხუროთმოძღვრების ძეგლი.

**Altes Residenztheater** («ალტეს რეზიდენცტეატერ») – თეატრი მიუნხენში სხვადასხვაგვარი რეპერტუარით; მასში იმართება კამერული მუსიკის კონცერტები.

**Altmark** (ალტმარკი) – გეოგრაფიული წერტილი საქსონია—ანჰალტის მხარეში.

**Altstadt** (ალტშტადტი) – ქალაქის ძველი ნაწილის სახელწოდება.

**Altstadthofbühne** («ალტშტადტჰოფბიუნე») – თეატრი ნიურნბერგში სხვადასხვაგვარი პროგპრამებით: კაბარე და კომედია, პანთომიმა და როკ მუსიკის კონცერტები.

**Ami** *m* («ამი») – ამერიკელების ხუმრობით— უპატივცემულო სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის და მას შემდეგ პერიოდში.

**Amiga-Platte** (ფირფიტა «ამიგა») – სერიიდან «საესტრადო მუსიკა» ყოფილ გდრში.

**Ammersee** (ამერის ტბა) – ტბა ბავარიაში.

**Amrum** (ამრუმი) – კუნძული გერმანიაში, ერთერთი ჩრდილო—ფრიზული კუნძულებიდან.

**Amt Blank** (ბლანკის უწყება) – 1950 წ-ან ამზადებდა ბუნდესვერის შექმნას გფრ; 1955 წ. გარდაიქმნა თავდაცვის სამინისტროდ; ატარებდა მისი ხელმძღვანელის, ბუნდესტაგის დეპუტატის ტ. ბლანკის სახელს.

**Amtsgehilfe** (ამტსგეჰილფე) – დაბალჩინოსნების ერთერთი კატეგორია გერმანიში.

**Amtsgericht** – დაბალი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლო.

**Amtsmeister** *m* (ამტსმაჲტერი) – დაბალჩინოსნების ერთერთი კატეგორია გერმანიში.

**Andachtsbild** (ანდახტსბილდი) – სახარების სჲუჟეტზე შექმნილი სურათი ან ქანდაკება, რომელიც ჰქმნის სამლოცველო განწყობას.

**Andreasfest** (წმინდა ანდრეასის დღესასწაული) – რელიგიური და სახალხო დღესასწაული; კართოფილის მოსავლის აღების ბოლო დღე (30 ნოემბერი).

**Ansbach 09 SpVgg** («ანსბახ 09 სპფგგ») – საფეხბურთო კლუბი; დაარსებულია 1909 წ.

**Antikensammlungen** (ანტიკური კოლექციები მჲუნხენში) – ბერძნული ლარნაკები, ანტიკური ქანდაკება, ოქროს სამკაულები, მინა, ეტრუსკების ხელოვნება.

**Anhalt** (ანჰალტი) – 1. ადგილის ისტორიული სახელწოდება საქსონია—ანჰალტის მხარეში; 2. ფედერალურ მხარე საქსონია—ანჰალტის ნაწილი.

**Anhalter: per Anhalter reisen** («ხელის აწევა») – მგზავრობა თანმიმავალი მანქანით; ასოციაციით უკავშირდება ბერლინის ყოფილი ანჰალტის სადგურის სახელწოდებას.

**Antifaschistischer Schutzwall** (ანტიფაშისტური დამცველი ჯებირი) – 1961 წლის 13 აგვისტოს Დასავლეთ ბერლინსა და ყოფილ გდრ დედაქალაქს შორის აგებული ბეტონის კედლის პროპაგანდისტული სახელწოდება; ყოფდა ქალაქს ორ ნაწილად; დაეცა 1989 წ. შემოდგომაზე.

**Antifaschulen** (ანტიფაშისტური სკოლები) – გერმანელი ოფიცრების და ჯარისკაცების ხელახალი აღზრდის პოლიტიკური სკოლები სამხედრო ტყვეების საბჭოთა ბანაკებში, შექმნილი მე—2 მსოფლიო ომის და ომის შემდგომომ პერიოდში.

**ANUGA** (ანუგა) – *იხ.* Allgemeine Nahrungs- und Genufimittelausstellung.

**Apfelhexe –** გახეხილი ვაშლი ათქვეფილი ნაღებით.

**Apolda** (აპოლდა) – ქალაქი ტჲურინგიის მხარეში; 26 000 მაცხოვრებელი; ცნობილია ნაქსოვი ნაწარმის წარმოებით და აგრეთვე ზარების სარეწით, რისთვისაც მიიღო სახელწოდება «Glockenstadt Apolda».

**Apotheke –** აფთიაქი.

**Aral AG** («არალ აგ») – ბენზინის და ნავთობპროდუქტების გასაღების კომპანია; დაარსებულია 1924 წ. ქ. ბოხუმში.

**Arbeiterjugend** («არბაჲტერჲუგენდ») – ჟურნალი,

გერმანიის სოციალისტური ახალგაზრდობის «შევარდნების» ბეჭდვითი ორგანო.

**Arbeiter-Samariter Bund (ASB)** (მუშათა სამარიტული კავშირი) – მუშების საქველმოქმედო ორგანიზაცია; სახელწოდება წარმოიშვა ბიბლიური სამარიტელებისგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ დიდი გულმოწყალეობით.

**Arbeiterwohlfahrt (AWO)** (მუშათა საქველმოქმედო საზოგადოება) – მუშების საქველმოქმედო ორგანიზაცია გერმანიაში, დაარსებული 1918 წ.

**Arbeitsamt** (შრომის ბირჟა) – სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შუამავლობით ოპერაციებს შრომის ბაზარზე.

**Arbeitsgemeinschaft der Evangelischen Jugend Deutschlands** (გერმანიის ევანგელიკური ახალგაზრდობის გაერთიანება) – ევანგელიკური ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც შედის გერმანული ახალგაზრდების ორგანიზაციების ფედერალურ გაერთიანებაში.

**Arbeitsgemeinschaft der Großforschungseinrichtungen (AGF)** (გრძელვადიანი მეცნიერული კვლევების გაერთიანება) – ორგანიზაცია, რომელიც უწევს კოორდინაციას 13 მეცნიერული ცენტრის საქმიანობას.

**Arbeitegemeinschaft der Rundfunkanstehen Deutschlands (ARD)** (გერმანიის რადიომაუწყებლობის სტუდიების სამუშაო გაერთიანება) – ტელე — და რადიომაუწყებლობის სამხარეო სტუდიების საკოორდინაციო ორგანო; ხშირად უძახიან «გერმანულ

ტელევიზიას» ან «პირველ პროგრამას».

**Arbeitsgemeinschaft selbstandiger Unternehmer (ASU)** (დამოუკიდებელი მეწარმეების გაერთიანება) – თავისთავადი მეწარმეების კავშირი, დაარსებული 1949 წ. ბონში წარმოების და ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხელშესაწყობად; აერთიანებს 5500 წევრს.

**Arbeitsgericht** (შრომის დავის სასამართლო) – 1. შრომის დავის სასამართლოების განზოგადებული სახელწოდება; 2. შრომის დავის დაბალი ინსტანციის სასამართლო.

**ARD** (*შემოკ.* **A**rbeitsgemeinschaft der offentlichrechtlichen **R**undfunkanstalten **D**eutschlands) არდ (გერმანიის საჯარო—უფლებრივი ტელერადიოსადგურების სამუშაო გაერთიანება) – პირველი გერმანული ტელევიზია; გერმანიის ტელევიზიის ერთერთი პროგრამის სახელწოდება; გაერთიანებაში ურთიერთმოქმედებენ სამხარეო სტუდიები; არდ მიიღება გერმანიის მთელ ტერიტორიაზე.

**Arena AufSchalke** («არენა აუფშალკე») – ბუნდესლიგის უმაღლესი დივიზიონის გუნდის «შალკე 04» საფეხბურთო სტადიონი.

**Arkona** (არკონა) – კონცხი კუნძულ რჲუგენის ჩრდილოეთში.

**Arme Ritter** («ღარიბი რაინდი») – რძეში ამოვლებული, შემწვარი, შაქრის ფხვნილით და დარიჩინით მოყრილი თეთრი პურის ნაჭრეები.

**Armenhaus Sachsens** (საქსონიის ღარიბების

თავშესაფარი) – ქ. ხემნიცის ხატოვანი სახელწოდება, რომელშიც აისახა მე—19 ს. საფეიქრო ფაბრიკების მუშების გაჭირვებული მდგომარეობა.

**Arminia Bielefeld DSC** («არმინია ბილეფელდი ДСК») – ბუნდესლიგის უმაღლესი დივიზიონის საფეხბურთო კლუბი.

**Arminius-Denkmal** (არმინიუსის ძეგლი) – აგებულია 1838—1875 წწ. ქ. დეტმოლდის მახლობლად (ჩრდილოეთ რაინი—ვესტფალიის მხარე).

**Arnsberg** (არნსბერგი) – ქალაქი ჩრდილოეთ რაინი—ვესტფალიის მხარეში; 22 ათასი მაცხოვრებელი; კლიმატური კურორტი.

**Art-cologne** («არტ-კოლონი») – სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა ჩრდილოეთ რაინ—ვესტფალიის ქალაქ კიოლნში.

**Artillerietruppe** (არტილერიის ნაწილები) – ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების ნაწილები.

**ASB —** *იხ.* Arbeiter-Samariter Bund.

**Asamkirche** (აზამკირხე) – ეკლესია მიუნხენში, აშენებული მე—18 ს. პირველ ნახევარში როკოკოს სტილში; ბაროკოს ოსტატების ძმები აზამების საჩუქარი ქალაქს; ცნობილია თავისი ფრესკებით.

**Aschermittwoch** (ფერფლოვანი ოთხშაბათი) – დიდ მარხვის პირველი კვირის ოთხშაბათი, 40-დღიანი მარხვის დასაწყისი, რომელიც გრძელდება აღდგომამდე.

**Aschkuchen –** *იხ.* Napfкuchen.

**AStA –** *იხ.* Allgemeiner Studentenausschuss.

**Atlas Delmehorst** («ატლას დელმეხორსტი») – საფეხბურთო კლუბი.

**Audi** («აუდი») – კონცერნ «აუტოუნიონ აგს» მსუბუქი მანქანა.

**Audi-Werke AG** («აუდი—ვერკე აგ») – საავტომობილო ფირმა, დაარსებული ა. ხორხის მიერ ქ. ცვიკაუში 1910 წ. მას შემდეგ, რაც მისმა ძველმა ფირმამ «აუგუსტ ხორხ უნდ კº მოტორენვერკემ» განიცადა კომერციული წარუმატებლობა; ახალი სახელწოდება Audi ლათინურად ნიშნავს იმასვე, რაც გერმანული Horch, ე. ი. «ისმინე»; 1932 წ. შევიდა კონცერნ «აუტოუნიონ აგს» შემადგენლობაში.

**Auerbachs Keller** («აუერბახსკელერი») – ძველისძველი ღვინის სარდაფი ლაჲფციგში, რომელსაც გადმოცემით ინახულებდნენ ფაუსტი და მეფისტოფელი.

**Aufbaugymnasium** (მოსამზადებელი გიმნაზია) – იძლევა იმ საგნების შესწავლის შესაძლებლობას, რომლებიც არ შედიოდნენ წინა სასწავლო პროგრამაში და რომლების შესწავლა საჭიროა სრული საშუალო განათლების მისაღებად.

**Aufbauschule** (ზედნაშენი სკოლა) – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (1964 შლამდე) სახალხო სკოლების მოწაფეების მოსამზადებლად სიმწიფის ადესტატის გამოცდების ჩასაბარებლად.

**Augsburg** (აუგსბურგი) – ქალაქი ბავარიაში; დაარსებულია ახ. წ. 14 წ.; 247 ათასი მაცხოვრებელი; მანქანათმშენებლობის, საფეიქრო და ელექტროტექნიკური

მრეწველობის ცენტრი.

**Augsburger Allgemeine** («აუგსბურგერ ალგემაინე») – ყოველდღიური გაზეთი, გამომავალი ქ. აუგსბურგში ტირაჟით 366 ათასი ეგზემპლარი.

**August Horch & Co Motoren-werke** («აუგუსტ ხორხ უნდ კº მოტორენვერკე») – *იხ.* Audi-Werke AG.

**August Thyssen-Hütte AG** («აუგუსტ ტისენ-ჰიუტე აგ») – უმსხვილესი ფოლადსამსხმელი კონცერნი, დაარსებული 1889 წ. ა. ტისენის მიერ ქ. დუისბურგში; 1973 წ. შემოიერთა კომპანია «რაინშენტალ აგ», 1977 წლიდან – «Thyssen AG».

**Aula Palatina** («აულა პალატინა») – იმპერატორ კონსტანტინეს ბაზილიკა, ქ. ტრირის ღირსშესანიშნაობა.

**Aurich** (აურიხი) – ქალაქი ქვემო საქსონიის მხარეში.

**Aussiedler** (გადმოსახლებული) – ოფიციალური სახელწოდება ეთნიკური გერმანელების, რომლებიც ბრუნდებიან გერმანიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

**Autobahn** (ავტობანი) – ჩქაროსნული გზატკეცილი ორმხრივი მრავალრიგიანი უგზაჯვარედინო მოძრაობით.

**Automobilwerk Eisenach (AWE)** (აიზენახის საავტომობილო ქარხანა) – აშენებულია 1898 წ. ტიურინგიის მხარის ქ. აიზენახში. ყოფილ გდრ უშვებდა მსუბუქ მანქანებს «ვარტბურგი»; 90-ნი წლების დასაწყისში შევიდა «ადამ ოპელ აგს» შემადგენლობაში.

**Auto Union AG** («აუტო—უნიონ აგ») – საავტომობილო

კონცერნი, შექმნილი 1932 წ. ფირმების «აუდი—ვერკე აგ», «ვანდერერ—ვერკე», «ხორხ—ვერკე აგ» და «დკვ—ვერკე აგ» შეერთების შედეგად; უშვებდა მანქანებს «აუდი», «ხორხ», «დკვ» და სხვ.

**Auto Union GmbH** («აუტო—უნიონ გმბჰ») – საავტომობილო კომპანია, დაარსებული 1949 წ. ქ. ინგოლშტადტში; 1959 წ. შევიდა კონცერნ «დაიმლერ—ბენც აგ» შემადგენლობაში; 1965 წლიდან აქციების საკონტროლო პაკეტი ეკუთვნის «ფოლკსვაგენვერკ აგს».

**AWO –** *იხ.* Arbeiterwohlfahrt.

**Axel Springer Verlag AG** («აქსელ შპრინგერ ფერლაგ აგ») – საგაზეთო—საგამომცემლო კონცერნი, უდიდესი ევროპაში; დაარსებულია 1947 წ. ჰამბურგში აქსელ შპრინგერის მიერ; 1970 წლიდან გარდაიქმნა აქციონერულ საზოგადოებაში.

## გერმანიის ფედერალური მხარეები

| *სახელწოდება* | *დროშა* | *გერბი* | *მთავარი ქალაქი* | *ფართობი კმ²* | *მოსახლეობა* |
|---|---|---|---|---|---|
| ბადენ-ვიურტემბერგი |  |  | შტუტგარტი | 35 751 | 10 149 |
| ბავარია |  |  | მიუნხენი | 70 554 | 11 770 |
| ბერლინი |  |  | ბერლინი | 882 | 3 440 |
| ბრანდენბურგი |  |  | პოტსდამი | 29 475 | 2 543 |
| ბრემენი |  |  | ბრემენი | 404 | 685 |
| ჰამბურგი |  |  | ჰამბურგი | 755 | 1 669 |
| ჰესენი |  |  | ვისბადენი | 21 114 | 5 951 |
| მეკლენბურგი-წინა პომერანია |  |  | შვერინი | 23 800 | 1 858 |
| ქვემო საქსონია |  |  | ჰანოვერი | 47 577 | 7 584 |
| ჩრდილოეთ რაინი-ვესტფალია |  |  | დიუსელდორფი | 34 072 | 17 722 |
| რაინლანდ-პფალცი |  |  | მაინცი | 19 852 | 3 852 |
| საარლანდი |  |  | საარბრიუკენი | 2 570 | 1 084 |
| საქსონია |  |  | დრეზდენი | 18 400 | 4 641 |
| საქსონია-ანჰალტი |  |  | მაგდებურგი | 20 440 | 2 789 |
| შლეზვიგ-ჰოლშტაინი |  |  | კილი | 15 732 | 2 680 |
| თიურინგია |  |  | ერფურტი | 16 175 | 2 546 |

# B

**Babelsberg** (ბაბელსბერგი) – ქ. პოტსდამის რაჲონი, სადაც მდებარეობს მსოფლიოში უძველესი და უმსხვილესი კინოსტუდია, რომელიც აგრძელებს უფა—სტუდიის ტრადიციებს; აქვე იყო კინოსტუდია დეფა (გდრ).

**Babelsberg 03 e.V. SV** («ბაბელსბერგ 03 სფ») – გერმანიის ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგა «ჩრდილოეთის» საფეხბურთო კლუბი; დაარსებულია 1903 წ.

**Backsteingotik** (აგურის გოტიკა) – არქიტექტურული სტილი, დამახასიათებელი ჩრდილო—გერმანულ ქალაქებისთვის.

**Baden** (ბადენი) – 1. ისტორიული ოლქი გერმანიაში; 2. 1951 წლიდან ბადენ—ვჲურტემბერგის ნაწილი.

**Baden-Baden** *n* (ბადენ—ბადენი) – ბალნეოლოგიური კურორტი შვარცვალდის მთებში (ბადენ—ვჲურტემბერგის მხარე); 51 ათასი მაცხოვრებელი; ყოველწლიურად ტარდება სპორტულ—საცხენოსნო შეჯიბრებები.

**Badenweiler** (ბადენვაჲლერი) – ბალნეოკლიმატური კურორტი სამხრეთ შვარცვალდში (ბადენ—ვჲურტემბერგის მხარე); 3 600 მაცხოვრებელი; შემორჩენილია არქიტექტურული ძეგლები: ჰერცოგის სასახლის ნანგრევები, რატუშა, ძველრომაული აბანოები.

**Baden-Württemberg** (ბადენ—ვჲურტემბერგი) – გერმანიის ფედერალური მხარე; ფართობი 35 751 კვ.

კმ, 10,15 მლნ. მაცხოვრებელი; ადმინისტრაციული ცენტრი შტუტგარტი; თვალწარმტაცი ლანდშაფტები: შვარცვალდი, რაჲნის, დუნაის, ნეკარის ხეობები; მთიანი ადგილი პაჲზერშტული, ბოდენის ტბა; აქ მდებარეობენ მსოფლიოში ცნობილი ფირმები: დაჲმლერ—ბენცი (Daimler-Benz), ბოში (Bosch), პორშე (Porsche), უმსხვილესი სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტები: გერმანული ონკოლოგიური ცენტრი (das Deutsche Krebsforschungszentrum) ჰაჲდელბერგში, მაქს პლანკის სახელობის მრავალრიცხოვანი ინსტიტუტები, გერმანული ლიტერატურული არქივი (das Deutsche Literaturarchiv) მარბახში; უმაღლესი სასამართლო დაწესებულებები: ფედერალური სასამართლო (das Bundesgerichtshof) და ფედერალური კონსტიტუციური სასამართლო (das Bundesverfassungsgericht) კარლსრუეში; უძველესი უნივერსიტეტი ჰაჲდელბერგში (დაარსებულია 1386 წ.); «შტუტგარტის ბალეტი» და «ბახის საერთაშორისო აკადემია»; აქ გამოდის ქვეყნის წიგნების 40%; ბადენ—ვჲურტემბერგთან არის დაკავშირებული ფ. შილერის, ფ. გელდერლინის, ვ. გაუფის, გ. ვ. ფ. ჰეგელის, ფ. ვ. შელინგის სახელები.



ბადენ-ვიურტემბერგის მხარე



ბადენ-ვიურტემბერგის ოლქები



ბადენ-ვიურტემბერგის დროშა და გერბი

**Bad Gottleuba** (ბად გოტლოჲბა) – კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი, მდებარეობს დრეზდენიდან (საქსონია) სამხრეთ—აღმოსავლეთით მდინარე გოტლოჲბას ხეობაში; შემორჩენილია გვიანგოტიკური ეკლესიები ლუკას კრანახის სკოლის მხატვრების მოხატულობით.

**Bad Homburg vor der Hohe** (ბად ჰომბურგი ფორ დერ ჰოე) – ბალნეოლოგიური კურორტი ჰესენის მხარეში მაჲნის ფრანკფურტიდან ჩრდილოეთით; მდებარეობს ტაუნუსის მთების განშტოებებში ზღვის დონიდან 197 მეტრის სიმაღლეზე; მინერალური წყაროები ცნობილი იყო ძველ რომაელებისათვის; ტურიზმის ცენტრი; განვითარებულია ელექტრონიკა, ლითონდამამუშავებელი დი კვების მრეწველობები; ღირსშესანიშნაობები: ლანდგრაფების სასახლე (17 საუკუნე), ეკლესია სანკტ—მარია (ნეოგოტიკა, 19 საუკუნე), ყოფილი საკურორტო დარბაზი (ამჟამად კაზინო), მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი.

**Badische Anilin- und Soda-Fabrik AG (BASF)** («ბადიშე

ანილინ— უნდ სოდაფაბრიკ აგ») – ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი აქციონერული საზოგადოება, შექმნილი 1865 წელს ლჲუდვიგსჰაფენში; 1925—1945 წლებში კონცერნ «И. გ. ფარბენინდუსტრი აგ» —ს შემადგენლობაში; ხელმეორედ დაარსდა 1952 წელს.

**Baedeker Karl** (1801—1859 წწ.) – გერმანელი გამომცემელი, 1827 წ. კობლენცში დააარსა სხვადასხვა სახელმწიფოების გზამკვლევების გამომცემლობა; სიტყვა «ბედეკერი» გახდა გზამკვლევების სახელწოდება, რომლების გამოცემასაც აგრძელებს თანამოსახელე ფირმა ჰამბურგში და შტუტგარტში.

**Bandoneon** (ბანდონეონი) – ხელის გარმონი დასაკრავი ღილაკებით ორივე მხრიდან; სახელდებულია გერმანელი გამომგონებლის გ. ბანდის სახელით.

**Bap** («ბაპი») – გერმანული როკ—ჯგუფი, შექმნილი 1976 წ. ვოლფგანგ ნიდეკენის მიერ; 1981 წ. ამ ჯგუფის ფირფიტამ დაიკავა პირველი ადგილი ხიტ—პარადში.

**Barbarafeier** (წმინდა ბარბარეს დღესასწაული) – მემაღაროელების დღესასწაული; აღინიშნება 4 დეკემბერს წმინდა ბარბარეს დღეს; ეს წმინდანი ითვლება მემაღაროელების მფარველად.

**Bartholomäus Dom** (წმინდა ბართლომეს ტაძარი მაჲნის ფრანკფურტში) – ამ ტაძარში ოქროს ბულის კანონების (1356 წ.) თანახმად ირჩევდნენ და აღგავდნენ გვირგვინს გერმანელ იმპერატორებს (1562—1792 წწ.); წარმოადგენს გოტიკის სტილში შესრულებულ ქვიშაქვის მაღალ კოშკს

«გლორიოზა» —ს 12,8 ტონიანი ზარით, რომელიც ჩამოისხა 1877 წ. დრეზდენში.

**Bartholomäus-Fest** (წმინდა ბართლომეს დღესასწაული) – გლეხების დღესასწაული; აღინიშნება 24 აგვისტოს წმინდა ბართლომეს დღეს; ეს წმინდანი ითვლება გლეხების მფარველად, განსაკუთრებით მესაქონლეების და მეღვინეების.

მანძილი გერმანიის დიდ ქალაქებს შორის

| მანძილი, კმ. | ბერლინი | ბონი | კიოლნი | დრეზდენი | მ/ფრანკფურტი | ჰამბურგი | ჰანოვერი | ლაიპციგი | მიუნხენი | როსტოკი | შტუტგარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბერლინი | — | 598 | 569 | 205 | 555 | 294 | 282 | 179 | 584 | 223 | 634 |
| ბონი | 598 | — | 27 | 575 | 175 | 459 | 324 | 501 | 560 | 634 | 349 |
| კიოლნი | 569 | 27 | — | 589 | 189 | 422 | 287 | 515 | 578 | 598 | 376 |
| დრეზდენი | 205 | 575 | 589 | — | 469 | 502 | 364 | 108 | 484 | 444 | 524 |
| მ/ფრანკფ. | 555 | 175 | 189 | 469 | — | 495 | 352 | 395 | 400 | 670 | 217 |
| ჰამბურგი | 294 | 459 | 422 | 502 | 495 | — | 154 | 391 | 782 | 184 | 668 |
| ჰანოვერი | 282 | 324 | 287 | 364 | 352 | 154 | — | 256 | 639 | 329 | 526 |
| ლაიპციგი | 179 | 501 | 515 | 108 | 395 | 391 | 256 | — | 425 | 376 | 465 |
| მიუნხენი | 584 | 560 | 578 | 484 | 400 | 782 | 639 | 425 | — | 771 | 220 |
| როსტოკი | 223 | 634 | 598 | 444 | 670 | 184 | 329 | 376 | 771 | — | 815 |
| შტუტგარტი | 634 | 349 | 376 | 524 | 217 | 668 | 526 | 465 | 220 | 815 | — |

**BASF AG** (*შემ.* Badische Anilin- & Soda-Fabrik AG—სეან, Ludwigshafen) («ბასფ აგ» («ბადიშე ანილინ— უნდ სოდა—ფაბრიკ აგ», ლუდვიგსჰაფენი) – *იხ.* Badische Anilin- & Soda-Fabrik AG.

**Bastei** (ბასტაჲ) – მთა საქსონიის შვეჲცარიაში (გერმანია);

**Bauch von Berlin** (ბერლინის მუცელი) – ქალაქის მიწისქვეშა ნაწილი ალექსანდერპლატცის ქვეშ.

**Bauern-Theater** («ბაუერნ—თეატერ» გარმიშ—პარტენკირხენში) – სახალხო თეატრი, რომელშიც იდგმება პიესები გლეხებზე ბავარიულ დიალექტზე.

**Bauernfrüstuck** – გლეხური საუზმე: ღორის ქონზე შემწვარი კარტოფილი, მოსხმული კვერცხით.

**Bauhaus** (ბაუჰაუსი) – არქიტექტურული მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა მშენებლობის და მხატვრული აგების უმაღლეს სკოლაში, და რომელიც ხელს უწყობს ფუნქციონალიზმის განვითარებას; მისი გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ვ. გროპიუსი და ლ. მის ვან დერ როე.

**Bauhaus-Archiv** («ბაუჰაუს არქივი») – ხელოვნების მუზეუმი ღესაუში.

**Bauknecht GmbH** («ბაუკნეხტ გმბჰ») – ფირმა შტუტგარტში, რომელიც აწარმოებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხელსაწყოებს.; სახელდებულია დამაარსებლის გვარიდან.

**BAUMA** («ბაუმა») (*შემოკ.* **Bauma**schinenausstellung-დან) – სამშენებლო მანქანების და სამშენებლო ტექნიკის საერთაშორისო ბაზრობა მჲუნხენში.

**Baumblütenfest** – ხეხილის ყვავილობის ყოველწლიური ტრადიციული დღესასწაული; აღინიშნება მაისში ქ.

პერდერში.

**Baumkuchen –** ფხვიერი ტორტი მრგვალი კოშკის სახით.

**Bausparen** – საბინაო მშენებლობის სახსრების დაგროვება.

**Bautzen** (ბაუტცენი) – ზემო (მთიანი) ლაუზიტცის (საქსონიის მხარე) მთავარი ქალაქი; მდებარეობს მდინარე შპრეეზე; 45 ათასი მაცხოვრებელი; განვითარებულია ლითონდამუშავება, ვაგონმშენებლობა, ქაღალდის მრეწველობა.

| გერმანიის პერიოდული გამოცემების ტირაჟები | |
|---|---|
| *ყოველდღიური გაზეთები* | |
| Bild (Hamburg) | 4 404 900 |
| Westdeutsche Allgemeine (Essen) | 1 205 600 |
| Hannoversche Allgemeine (Hannover) | 554 600 |
| Sächsische Zeitung (Dresden) | 447 100 |
| Süddeutsche Zeitung (München) | 404 700 |
| Rheinische Post (Düsseldorf) | 396 300 |
| Frankfurter Allgemeine (Frankfurt) | 394 800 |
| Augsburger Allgemeine (Augsburg) | 366 000 |
| Südwestpresse (Ulm) | 363 100 |
| BZ. (Berlin) | 324 500 |
| Hessische/Niedersächsische Allgemeine (Kassel) | 323 700 |
| Kölner Stadtanzeiger (Köln) | 287 600 |
| Berliner Zeitung (Berlin) | 258 100 |
| Rheinpfalz (Ludwigshafen) | 246 000 |
| Märkische Allgemeine (Potsdam) | 241 800 |
| Westdeutsche Zeitung (Düsseldorf) | 241 500 |
| Braunschweiger Zeitung (Braunschweig) | 223 700 |
| Ostsee-Zeitung (Rostock) | 223 000 |
| Ruhr-Nachrichten (Dortmund) | 222 000 |
| Die Welt (Bonn) | 220 300 |
| Lausitzer Rundschau (Cottbus) | 211 600 |
| Frankfurter Rundschau (Frankfurt) | 189 700 |
| Berliner Morgenpost (Berlin) | 180 200 |
| Die Tageszeitung (Berlin) | 61 700 |
| *ყოველკვირეული გაზეთები* | |
| Bild am Sonntag (Hamburg) | 2 649 900 |
| Die Zeit (Hamburg) | 493 300 |
| Welt am Sonntag | 423 400 |
| Bayernkurier (München) | 153 600 |
| Rheinischer Merkur (Bonn) | 110 900 |
| Deutsches Allg. Sonntagsblatt (Hamburg) | 90 700 |
| *ჟურნალები* | |
| Der Spiegel (Hamburg) | 1 073 100 |
| Focus (München) | 477 900 |

**Bavaria mit Ruhmeshalle** (ბავარია პანთეონით) – ქალის ბრინჯაოს ქანდაკება, ბავარიის განსახიერება; ქალაქ მიუნხენის სიმბოლო; ჩამოსხმულია ფ. მილერის მიერ შვანტჰალერის მოდელის მიხედვით და დადგმულია 1850 წ.;

სიმაღლე 30 მ.; 1853 წ. ძეგლის გვერდით შეიქმნა პანთეონი, სადაც გამოფენილია ბავარიის გამოჩენილი მოღვაწეების ბიუსტები.

**Bayer AG** («ბაიერ აგ») – ქიმიური კომპანია, დაარსებული 1863 წ. ლევერკუზენში; 1952 წლამდე შედიოდა ქიმიურ კონცერნ «ი. გ. ფარბენინდუსტრი» —ში.

**Bayer 04 Leverkusen TSV** («ბაიერ 04 ლევერკუზენ ტსფ») – ბუნდესლიგის უმაღლესი დივიზიონის საფეხბურთო კლუბი; დაარსებულია 1904 წ.

**Bayer 05 Uerdingen FC** («ბაიერ 05 იურდინგენ ფკ») – გერმანიის ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგა «ჩრდილოეთის» საფეხბურთო კლუბი; დაარსებულია 1905 წ.

**Bayerische Motorenwerke –** *იხ.* BMW.

**Bayerische Alpen** (ბავარიის ალპები) – ჩრდილოეთის კირიანი ალპების ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე.

**Bayerische Staatsbibliothek in München** (ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა მიუნხენში) – დაარსებულია 1558 წ.; ევროპაში ერთერთი უმსხვილესი ბიბლიოთეკა; ითვლის 6 მილიონ ტომს.

**Bayerische Staatsoper** (ბავარიის სახელმწიფო ოპერა) – მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო საოპერო თეატრი; 1997 წლიდან მასში ტარდება ყოველწლიური საოპერო ფესტივალი.

**Bayerischer Maximiliansorden für Wissenschaft und Kunst** (ბავარიის მაქსიმილიანეს ორდენი მეცნიერებისათვის და ხელოვნებისათვის) – ბავარიის

მხარის სახელმწიფო ჯილდო, დაარსებული 1980 წ.

**Bayerischer Verdienstorden** (ბავარიის Ⴊამსახურების ორდენი) – ბავარიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, დაარსებული 1957 წ.

**Bayerischer Wald** (ბავარიის ტყე) – მთები ბავარიის მხარეში; ეროვნული პარკი.

**Bayerisches Armeemuseum** (ბავარიის სამხედრო მუზეუმი) – განლაგებულია ჰერცოგის 15 ს. სასახლეში; წარმოდგენილია სამხედრო ისტორიის ობიექტები გვიანდელ შუასაუკუნეებიდან ჩვენს დრომდე.

**Bayerisches Meer** («ბავარიის ზღვა») – ტბა კიმზეეს ხატოვანი სახელწოდება.

**Bayerisches Nationalmuseum** (ბავარიის ეროვნული მუზეუმი) – შექმნილია 1855 წ. მაქსიმილიან II—ის მიერ, რომელმაც მიუძღვნა იგი ბავარიის კულტურას და ხალხურ ხელოვნებას.

**Bayern** (ბავარია) – გერმანიის უდიდესი ფედერალური მხარე, ფართობი 70 554 კვ. კმ., მოსახლეობა 11,77 მლნ., ადმინისტრაციური ცენტრი მჲუნხენი; მის ტერიტორიაზე მდებარეობენ ალპები ყველაზე მაღალ მწვერვალით Ⴑუგ—შპიტცე (2962 მ.), მთები ბავარიის ტყე, მდინარეები Ⴊუნაი, მაჲნი შენაკადებით, თვალწარმტაცი ტბებით; მრეწველობა: ელექტროტექნიკური, ავტომშენებლობა, ნავთობგადამუშავება, მინის ქარხნები და ფაიფურის საწარმოები, მეღვინეობა, ტრადიციული დარგი – ლუდის ხდა; მეცნიერულ—კვლევითი ინსტიტუტები (მ. შ. მაქს

პლანკის სახელობის პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტი), უნივერსიტეტები, მრავალრიცხოვანი მუზეუმები (ბავარიის ეროვნული მუზეუმი, ძველი და ახალი პინაკოთეკები და სხვ.), თეატრები, მონასტრები და ეკლესიები.


ბავარიის მხარე


ბავარიის ოლქები


ბავარიის დროშა და გერბი

**Bayern** (ბავარები / ბავარიელები) – 1. გერმანელთა ტომი; 2. ბავარიის მკვიდრნი.

**Bayern München FC** («ბაჲერნ მჲუნხენ ფკ») – ბუნდესლიგის უმაღლესი დივიზიონის საფეხბურთო კლუბი; გერმანიის მრავალგზის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

**Bayernkurier** («ბაჲერნკურირი») – ყოველდღიური გაზეთი, გამომავალი მჲუნხენში ტირაჟით 153 600 ეგზემპლჲარი; ქსკ—ის ორგანო.

**Bayreauth** (ბაჲროჲტი) – ქალაქი ბავარიაში, რიხარდ ვაგნერის სამშობლო; 1876 წლიდან ქალაქში ტარდება მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო ფესტივალი.

**Bayreuther Festspiele** (ბაჲროჲტის ფესტივალი) –

მსოფლიოში უდიდესი საოპერო ფესტივალი ქ. ბაჲროჲტში (ბავარია); შენობა, რომელშიც 1876 წლიდან ტარდება ფესტივალი, აშენებულია რიხარდ ვაგნერის პროექტით; ფესტივალის რეპერტუარშია მისი ათი მთავარი ოპერა.

**Bayrischkraut** (კომბოსტო ბავარიულად) – მოშუშული კომბოსტო ღორის ქონით, შაქრით და ძმრით.

**BDA** (ბდა) – *იხ.* Bundesvereinigung der Deutschen Arbeitgeberverbande.

**BDI** (ბდი) – *იხ.* Bundesverband der Deutschen Industrie.

**BdV** – *იხ.* Bund der Vertriebenen.

**Beamter** (ჩინოსანი) – მოსამსახურე, რომლის დათხოვა სამსახურიდან დაუშვებელია და რომელსაც აქვს უფლება პენსიაზე.

**Beethoven-Denkmal** (ბეთჰოვენის ძეგლი) – უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის ლ. ვ. ბეთჰოვენის (1770—1827 წწ.) ძეგლი ბონში; მის ზეძირკველში ამოქოლილია მე—9 სიმფონიის და საზეიმო მესის პარტიტურები.

**Beethoven-Halle** (ბეთხოჰოვენჰალე) – საფესტივალო დარბაზი ბონში; შენობის წინ დადგმულია ბეთჰოვენის ძეგლი, შესრულებული პლაუს კამერიხის მიერ (1986 წ.).

**Beethovenhaus** (ბეთჰოვენის სახლ—მუზეუმი) – აქ ინახება ბეთჰოვენის პარტიტურები, მისი პორტრეტები, და აგრეთვე სასმენი მილაკების კოლექცია, რომელიც მოაგონებს კომპოზიტორის ტრაგედიას (სიყრუეს).

| Ⴕალაქების მოსახლეობა | |
| --- | --- |
| Ⴁერლინი | 3 289 500 |
| Ⴠამბურგი | 1 688 300 |
| Ⴋჲუნხენი | 1 161 100 |
| Ⴉჲოლნი | 966 800 |
| Ⴋაჲნის Ⴔრანკფურტი | 645 500 |
| Ⴄსენი | 589 900 |
| Ⴃორტმუნდი | 588 300 |
| Ⴘტუტგარტი | 575 400 |
| Ⴃჲუსელდორფი | 568 300 |
| Ⴁრემენი | 528 200 |
| Ⴃუჲსბურგი | 517 700 |
| Ⴠანოვერი | 516 800 |

**Beigeordneter** (ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი) – აღმასრულებელი ორგანოს წევრი რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში და თემებში.

**Bekenntnisschule** (კონფესიული სკოლა) – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ერთმორწმუნე ბავშვებისათვის.

**Bellevue** (ბელვჲუ) – სასახლე ბერლინში; გერმანიის ფედერალური პრეზიდენტის რეზიდენცია.

**Benz Carl Friedrich** (ბენცი კარლ ფრიდრიხი) (1844—1929 წწ.) – გერმანელი ინჟინერი და მაწერმე.

**Benz & Cie AG** («ბენც უნდ კº აგ») – საავტომობილო კომპანია; დაარსებულია 1883 წ. ინჟინერ კ. ფ. ბენცის მიერ; 1926 წ. შეუერთდა «Დაჲმლერ—ბენც აგ» —ს.

**Berchtesgadener Land** *n* (ბერხტესგადენერ ლანდ) – მთის ქვაბული თვალწარმტაცი ტბით ჰჲონიგზეე ბავარიაში.

**Bereitschaftspolizei** (მორიგე პოლიცია) – მის ამოცანაში შედის ახალი საპოლიციო კადრების მომზადებაზე ზრუნვა, დაცვითი და სისხლის სამართლის პოლიციებისათვის დახმარების გაწევა დიდი სპორტული ღონისძიებების, ოფიციალური ვიზიტების, გამოფენების, დემონსტრაციების ჩატარების დროს, და აგრეთვე კატასტროფების შემთხვევაში.

**Bergen-Belsen** (ბერგენ—ბელზენი) – ყოფილი ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი ქ. ცელეს მახლობლად ქვემო საქსონიაში, შექნილი 1940 წ.; 50 000 მსხვერპლი.

**Bergisches Land** (ბერგიშეს ლანდ) – მთიანი ადგილი ქ. ჰჲოლნის აღმოსავლეთით.

**Berlin** (ბერლინი) – გერმანიის დედაქალაქი და ამავე დროს ფედერალური მხარე; ქვეყნის უდიდესი ქალაქი; ფართობი 882 კვ. კმ., მოსახლეობა 3,44 მილიონი ადამიანი; მდებარეობს მდინარე შპრეეს შესართავთავის ადგილას მდინარე ხაფელთან სანაოსნო არხებზე, რომლებიც აერთებენ ბერლინს მდინარეებ ელბასთან და ოდერთან; უდიდესი სამრეწველო, კულტურული და მეცნიერული ცენტრი; ნაცისტური გერმანიის მე—2 მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ბერლინის ტერიტორია იყო გაყოფილი სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის სექტორებად; გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში 1949 წ. 7 ოქტომბერს გამოცხადდა გერმანიის

დემოკრატიული რესპუბლიკა დედაქალაქით ბერლინში (საბჭოთა სექტორი); 1961 წ. იქნა აღმართული ბერლინის კედელი (Berliner Mauer); გდრ და გფრ გაერთიანების შემდეგ 1990 წ. 3 ოქტომბერს ფედერალური დედაქალაქის სტატუსი ბონიდან გადაინაცვლა ბერლინში; ბერლინი პრეზიდენტის და ფედერალური ხელისუფლების ადგილსამყოფელოა; აქ მდებარეობენ: უნივერსიტეტები (Humboldt-Universität, Freie Universität, Technische Universität), 30 თეატრი (Deutsche Oper, Deutsche Staatsoper Unter den Linden, Komische Oper, Berliner Ensemble), 70 მუზეუმი, მრავალრიცხოვანი გელერეები, ზოოპარკები, 13—15 სს. გოტიკური ეკლესიები და ბაროკოს სტილის 17—19 სს. კლასიკური ანსამბლები; ღირსშესანიშნაობებს შორის არის ბერლინის ტაძარი, ბრანდენბურგის ჭიშკარი (Brandenburger Tor), წმ. ნიკოლოზის ეკლესია, შადრევანი «ნეპტუნი», «მუზეუმების კუნძული» (Museumsinsel) и პერგამოს მუზეუმი (Pergamon-Museum), Altes-Museum, Berliner Kunstgewerbemuseum, Bode-Museum, Deutsches Theater, Friedrichshain, Friedrichstadt-palast.



ქალაქი-მხარე ბერლინი



ბერლინის დროშა



ბერლინის გერბი

**Berlinale** («ბერლინალე») – ყოველწლიური (1950 წლიდან) საერთაშორისო კინოფესტივალი ბერლინში; მთავარი პრიზი – «ბერლინის ოქროს დათვი».

**Berliner Ecke** («ბერლინული კუთხე») – ძველებური არქიტექტორული ელემენტი, რომელიც მე—19 ს. იხმარებოდა ბერლინში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს; ეს არის ორი ქუჩის გზაჯვარედინზე მდგარი შენობის მოჭრილი კუთხე; კუთხე მორთულია აივნებით, ლოჯიებით და ა. შ.

**Berliner Ensemble** («ბერლინერ ანსამბლი») – დრამატული თეატრი; დაარსებულია 1949 წ. ბერლინში ბერტოლდ ბრეხტის და ე. ვაჲგელის მიერ როგორც ანტინაცისტური და ანტიმილიტარისტული მიმართულების თეატრი; გერმანიის ერთერთი წამყვანი დრამატული თეატრი.

**Berliner Karpfen** (ბერლინური კობრი) – ჩურთვილი კობრი; ჩვეულებრივ ჭამენ საახალწლო ღამეს.

**Berliner Kunstgewerbemuseum** (ბერლინის Დართული ხელოვნების მუზეუმი) – შენობა აშენებულია 1985 წ. რ. გუტბროდის პროექტით; მასში გამოფენილია ოქროს ნივთკბი, ქსოვილები, სურათები, მინა, ავეჯი (ადრეულ შუასაუკუნეებიდან ჩვენ დრომდე); სუფრის ვერცხლის სერვიზი ბერლინური საქალაქო სასახლიდან და ველფების (11 ს. ბავარული სათავადო გვარი) სახელგანთქმული განძი.

**Berliner Mauer** (ბერლინის კედელი) – გადამღობი ნაგებობების სისტემა გდრ და Დასავლეთ ბერლინს შორის საერთო განფენილობით 162 კმ.; აგებულია გდრ მოსახლეობის Დასავლეთში მასიური გადენის აღკვეთის მიზნით; გდრ პოლიტიკური ცვლილებების შედეგად 1990 წ. კედელი დაშალეს; კედლის ნარჩენები შენარჩუნებულია როგორც ძეგლი.

**Berliner Morgenpost** («ბერლინერ მორგენპოსტი») – ბერლინში 180 ათასიანი ტირაჟით გამომავალი ყოველდღიური გაზეთი.

**Berliner Ofen** – კაფელის დიდი ღუმელი თავთავიანი ბადეს გარეშე, რომლის კარები იხრახნება და ღუმელი დიდ ხანს ინარჩუნებს სითბოს.

**Berliner Pfannkuchen** (ბერლინური ფუნთუშები) – ფუნთუშები სხვადასხვა გვარი ხილის საჩურთით; მათ ჩვეულებრივ ჭამენ წინასაახალწლო ღამეს; ერთ—ერთი ფუნთუში ივსება მდოგვით.

**Berliner Ring** (ბერლინის რგოლი) – რგოლისებრი გზა ბერლინის გარშემო.

**Berliner Schnauze** (ბერლინური დიალექტი) – პოტსდამის, ოდერის ფრანკფურტის, კოტბუსის, ნაწილობრივ შვერინის და ნოიბრანდენბურგის ოლქების ენა.

**Berliner Volksbühne** (ბერლინის სახალხო თეატრი) – ერთ—ერთი უძველესი ბერლინში; დაარსებულია 1915 წ.; 20—ან წლებში მასში თამაშობდნენ ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორც მ. რაიხარდტი და ე. პისკატორი.

**Berliner Weiße** – ბერლინური ნათელი ლუდი.

**Berliner Weiße mit Schuß** (ბერლინური ნათელი) – ლუდი ჟოლოს სიროფის დამატებით.

**Berliner Zeitung** («ბერლინერ ცაიტუნგი») – ბერლინში 258 ათასიანი ტირაჟით გამომავალი ყოველდღიური გაზეთი.

**Berliner Zimmer** *n* (ბერლინური ოთახი) – კუთხის გასავლელი ოთახი ერთი გვერდითი ფანჯრით; ესეთი ოთახები იყო დამახასიათებელი მე—19 ს. მე—2 ნახევრის ბერლინის გაშენებისთვის; ზოგი ასეთი ოთახი შემორჩენილია ბერლინის ძველ სახლებში.

**Berlin-Krise** (ბერლინის კრიზისი) – სიტუაცია, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მიერ 1948 წ. ივლის—1949 წ. მაისში ჩატარებულ ღონისძიებების შედეგად: დასავლურ საოკუპაციო ზონებს და Დასავლეთ ბერლინს შორის გადაზიდვის კონტროლის გაძლიერებამ მიიყვანა ბერლინის დასავლური სექტორების სახმელეთო ბლოკადამდე.

**Berlin (West)** (Დასავლეთი ბერლინი) – *იხ.* Westberlin.

**Berolina** (ბეროლინა) – ქალაქ ბერლინის

ლათინიზირებული სახელწოდება.

**Bertelsmann AG** («ბერტელსმან აგ») – მსოფლიოში ყველაზე დიდი საგამომცემლო კონცერნი; დაარსებულია 1935 წ. კ. ბერტელსმანის მიერ; გამომცემლობის ცენტრი მდებარეობს ქ. გჟუტერსლოში; 1950—1980 წწ. გააერთიანა 100—ზე მეტი პოლიგრაფიული ფირმა ქვეყანაში და საზღვარ გარეთ; უშვებს მხატვრულ, მეცნიერულ, საცნობარო, სასწავლო და სხვა ლიტერატურას.

**Bertelsmann Jugendbuchverlag** («ბერტელსმან ჟუგენდ ფერლაგი») – *იხ.* Bertelsmann AG.

**Bertelsmann-Konzern** *m* (ბერტელსმანის კონცერნი) – *იხ.* Bertelsmann AG.

**Bertelsmann Kunstverlag** («ბერტელსმან კუნსტფერლაგი») – *იხ.* Bertelsmann AG.

**Bertelsmann Lexikon-Verlag** («ბერტელსმან ლექსიკონფერლაგი») — *იხ.* Bertelsmann AG.

**Bertelsmann Sachbuchverlag** («ბერტელსმან ზახბუხფერლაგი») — *იხ.* Bertelsmann AG.

**Bertelsmann Verlag** («ბერტელსმან ფერლაგი») – *იხ.* Bertelsmann AG.

**Berufsschule** (პროფესიული სასწავლებელი) – ამზადებს კვალიფიცირებულ მუშებს და მოსამსახურეებს; სწავლის ვადა სამ წლამდე.

**Berufsaufbauschule** – საღამოს პროფესიული სკოლა, რომელშიც ხორციელდება სხვადასხვა პროფილის კვალიფიცირებული მუშების დაჩქარებული მომზადება.

**Berufsverbote** (აკრძალვა პროფესიებზე) – სამსახურეობრივ—სამართლებრივი წესდების შეცვლის კანონის არაოფიციალური სახელწოდება.

**Besatzungsstatut** (საოკუპაციო სტატუტი) – ხელმოწერილია აშშ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის უმაღლესი კომისრების და გფრ კანცლერის კ. ადენაუერის მიერ; ძალაში შევიდა 1949 წ. 21 სექტემბერს; ბევრ საკითხში ზღუდავდა გფრ სუვერენიტეტს; დაკარგა ძალა «გფრ და სამ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ხელშეკრულების» დადების შემდეგ.

**Bescherung** – საჩუქრების ჩუქება შობის დღესასწაულზე.

**Bevin-Plan** (ბევინის გეგმა) – ითვალისწინებდა ბიზონიების შექმნას და გერმანიის დაჩქარებულ განხეთქილებას (სახელდებულია ინგლისელ საგარეო საქმეთა მინისტრის სახელით).

**BfV** – *იხ.* Bundesamt fur Verfas-sungsschutz.

**BGS** – *იხ.* Bundesgrenzschutz.

**Bibliographisches Institut AG** («ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი აგ») – საცნობარო ლიტერატურის გამომცემლობა, დაარსებული 1953 წ. ქ. მანჰაიმში.

**Bielefelder Appell** (ბილეფელდის მოწოდება) – გერმანული პროფკავშირების გაერთიანების 1979 წ. დეკემბრის მოწოდება გფრ ტერიტორიაზე ამერიკული ფრთოსანი რაკეტების და საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების წინააღმდეგ ნატო—ს საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

**Bienenstich** (ბინენშტიხი) – ღვეზელი, რომლის ქერქი შესდგება გახეხილ ნუშისგან, კარაქისგან, თაფლისგან და შაქრისგან.

**Bierdeckel** – *იხ.* Bieruntersatz.

**Bierschnauzer** (რიზენშნაუცერი, ლუდის შნაუცერი) – რიზენშნაუცერის ხუმრობითი სახელწოდება, რომელიც იყო ძალიან პოპულარული მჲუნხენელ ლუდის მხდელებში მე—20 ს. დასაწყისში.

**Bieruntersatz** (ლუდის ქვესადგამი) – მრგვალი ან სხვა ფორმის მუყაოს ქვესადგამი ლუდის სირჩის ქვეშ.

**Bierzeit** (ლუდის დრო) – სადილსა და ვახშამს შუა დროის სახელწოდება მჲუნხენში, როდესაც მსუბუქ საჭმელთან ერთად სვამენ ლუდს.

**Bild** («ბილდი») – ჰამბურგში აქსელ შპრინგერის კონცერნში გამომავალი ყოველდღიური გაზეთი; ტირაჟი 4,7 მლნ. ეგზემპლარი.

**Bild am Sonntag (BamS)** («ბილდ ამ ზონტაგი») – ჰამბურგში გამომავალი კვირის ილუსტრირებული გაზეთი; დაარსებულია 1956 წ.; ტირაჟი 2,6 მლნ. ეგზემპლარი.

**Bildstock** (ბილდშტოკი / მოსახსენებელი) – სამახსოვრო ნიშანი წმინდანის გამოსახულებით უბედური შემთხვევის ადგილზე; ხშირია სამხრეთ გერმანიაში და ავსტრიაში.

**Binger Loch** (ბინგენის ხვრელი, ბინგენის ორმო) – ადგილი, სადაც რაჲნი იკაფავს გზას კლდეში მდინარის ხეობის შავიწროებულ ნაკვეთზე.

**Bio-Bauer** (ბიო—გლეხი) – სოფლის მეურნეობის მუშაკი,

რომელიც არ იყენებს ქიმიურ სასუქს და მცენარეების დაცვის ქიმიურ საშუალებებს.

**Bio-Produkt** (ბიო—სურსათი) – სოფლის მეურნეობის ნაწარმი, მოყვანილი ქიმიკატების გამოუყენებლივ.

**Bischof**

# Конец ознакомительного фрагмента.

Текст предоставлен ООО «ЛитРес».

Прочитайте эту книгу целиком, купив полную легальную версию на ЛитРес.

Безопасно оплатить книгу можно банковской картой Visa, MasterCard, Maestro, со счета мобильного телефона, с платежного терминала, в салоне МТС или Связной, через PayPal, WebMoney, Яндекс.Деньги, QIWI Кошелек, бонусными картами или другим удобным Вам способом.